

საგზაო

საორტული გაზეთი

შაბათი 17 მაისი 2003 №89 (1860)

ზასი 50 თეთრი

ქართული კვარცხლბაი დიუსელდორფში

ნესტორ ხერგიანის მეორე ეპროვა




ნესტორ ხერგიანი

გუშინ დიუსელდორფში ძიუდო-ისტთა ევროპის ჩემპიონატი ქართველის გამარჯვებით დაიწყო. 60 კილოგრამ წონაში ჩემპიონი ნესტორ ხერგიანი გახდა. ნესტორმა ხუთი წლის წინაც მოიგო ევროპა.


— ხერგიანს, მარგოშვილს და ზვიადაურს ნამდვილად შეუძლიათ ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლა. სამივე კარგ ფორმაშია და წლეულს უკვე მოასწრეს რამდენიმე ტურნირის მოგება — გვიტხრა გუშინ, შეჯიბრის დანწყებამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა.

ნესტორ ხერგიანმა სრულად გაუმართლა იმედეები ხაბარელს. დავით მარგოშვილმა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ: ფინალური ხუთნობიერი ფრანგ ბენუამენ დარბელთან ფრედ დაუმთავრდა, ბრძოლა პირველ ქულამდე გაგრძელდა, აქ კი ფრანგმა იმარჯვა და მარგოშვილს ვერცხლი დარჩა.

აბსოლუტურ წონაში ბრინჯაოს დასჯერდა რამაზ ჩოჩიშვილი.



ჯანი კარნევალი



ლუის ცაყარიასი

ჩემპიონობა ნაგლეჯვაზეა ლოკომოტივი – ვიზ ჯორჯია ფრე დინამოსია


როცა ხეალ „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ სათამაშოდ გავლენ, „დინამო“ — „კოლხეთის“ მატჩის შედეგი უკვე ეცოდინებათ და ეს უმნიშვნელო ამბავი არ არის. თუმც თავიდან მოვეყვით.

საქართველოს ჩემპიონობისთვის მებრძოლთაგან ამ ტურში ერთმანეთს „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ ზედებიან, „დინამო“ და „ტორპედო“ კი შეექვსეულის სტატისტიკებს ეთამაშებიან. ჰოდა, ცხადია, ტურის მთავარი მატჩიც ვაკის პარკში რომ გაიმართება. იმ დროისთვის „დინამოს“ ალბათ დამარცხებული ეყოლება ფოთის გუნდი და ჩემპიონატის ლიდერ ვეტერინარებს სხვა ვა ალარ ექნებათ, ვერ მოიგებენ და, ჩემპიონობის შანსი ერთი ორად შეუმცირდებათ.

„ლოკომოტივი“ კი, თუ წააგებს, ერთი ორად კი არა, სულაც დაკარგავს ჩემპიონობის შანსს და რა გასაკვირია, რომ უშეღავათო ბრძოლა იქნება. ხოლო ამათ ვახში გამარჯვებული ეგებ „დინამო“ გამოვიდეს და ლიდერობა დაიბრუნოს.

დიდი ამბავი

ყაჩაღი იმ მახარებელს ჩაუვარდა, რომელსაც ძარცვავდა



კობი ბრაიანტმა და შაკილ ონილმა „ლეიკერსის“ მარცხი ერთმანეთს შესტირეს

ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო. გამარჯვებებით დაღლილმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ ველარ გაუძლო ფავორიტის ტვირთს და წამით გაჩერდა. იმ სამყაროში კი, სადაც ხალხსა და მოვლენებს კაპიტალი მართავს, შეყოვნება სიკვდილს ნიშნავს. სულის მოსათქმელად ჩაიმუხლებ და ადამიანების გუნდი გადავთელავს. ნბა-ს ბოლო სამი პლეი ოფის ჩემპიონი „ლეიკერსი“ „სან ანტონიო სფურზად“ რქმეულ იმ ლოკომოტივს ჩაუვარდა ბორბლებში, რომელსაც ბოლო წლებში ძარცვავდა.

ეს მოხდა 15 მაისს. „ლეიკერსმა“ „სფურზთან“ მეოთხედ წააგო და ზედიზედ 13 საპლეიოფო სერიის მოგების შემდეგ 2003 წლის ტიტულისთვის ბრძოლას საკუთარი ქომაგების თვალწინ გამოეთიშა. კობი ბრაიანტმა იტირა, წაგებულ ჩემპიონთა მეორე ლიდერმა, თავადაც გულჩანყვეტილმა შაკილ ონილმა კი ვეება გულში ჩაიკრა ბალღივით ატირებული და მასთან შედარებით მართლა ბალღი თანაგუნდელი, რომელმაც პირველად იგემა ნამდვილი მარცხის ბალღამი.

თავად ჩემპიონთა მძლეველი გუნდი ვილაც გამველელი არ გახლავთ, „სან ანტონიო სფურზი“ ლეიკერსამდელი ნბა-ს ბოლო, 1999 წლის ჩემპიონია, ლიდერადაც ლირსეული კაცი უზის — ტიმ დანკანი, მარშან და წლეულს სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებული სუპერთავდამსხმელი, ვინაც 110:82 მოგებულ ბოლო თამაშში 37 ქულა უთავაზა „ლეიკერსს“. დანკანს ზურგს უმაგრებენ ხალისიანი არაამერიკელი ბიჭები ტონი პარკერი, მანუ ჯინობილი... ამ ხალხზე ჩემპიონობაც ალაღია.

მურაზ დიუსელდორფის ფოტო

REUTERS ლოს ანჯელესიდან

უზოვანი დიდ ფანჯარით

ფეხბურთის თამაში გოჩა ჯამარაულმა მშობლიურ რუსეთში დაიწყო...

ფეხბურთისა და გოჩას სერიოზული დამეგობრება კი თბილისში მოხდა...

ნიჭიერი ბიჭი თავიდანვე მოედინა ცენტრში გამაწყვეს და მას შემდეგ...

ჯამარაულის ერთ ნაკლსაც სწორად აღნიშნავენ — თავით თამაში. თავად ფეხბურთელის თქმით...

— ძალიან არ მსურდა, კარიერა ისე დამესრულებინა, რომ თავით გოლი არ გამეტანა...

მთავარი ისაა, რომ ჯამარაული ამ ნაკლის აღმოფხვრას სხვა გზებით ცდილობს...

1981 წლის თაბისის თასის მფლობელი თბილისის „დინამო“ გოჩას საყვარელი გუნდია...

უაანასანალი მოქიანნი

1990 წელს ქართული ფეხბურთი საბჭოეთის გამოეყო. ეს ამბავი ფეხბურთელებმა...

— ჩვენ საწერტინელ შეკრებებზე ვიყავით ლესელიძეში. უეცრად, გუნდის კრებაზე ვეითხრეს...


საწყისი რამდენიმე ჩემპიონატი საქართველოში მართლაც კარგ დონეზე ჩატარდა...

რატომაც წასვლას არ ჩქარობდა ჯამარაული, თუმცა ვეროპული კლუბებისგან...

პირველად უცხოეთში გადასვლის ყველაზე რეალური შანსი გოჩას 1994 წელს მიეცა...

90-იანი წლების შუაში საქართველო „ბებერი გვარდის“ კიდევ ერთმა ნაწილად...

მართალი ჯამარა გოჩა უარაინალება უან მიახდას



გოჩა ჯამარაული — მართალი თვის წინ საქართველოს ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა. ეს დრო, ცხადია, ოდესმე დადგებოდა...

ქართველი ნახევარმცველი ამჟამად უკრაინული დონეცკის „მეტალურგის“ კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერია...

ლმა დატოვა და... თბილისის „დინამო“ და ჯამარაული უკვე ერთი მნიშვნელობის ცნებად იქცა.

და მაინც 1997 წელს გოჩამ „დინამო“ დატოვა. რუსეთის ნაკრების ახლანდელმა თავკაცმა ვალერი გასაევა...

სამომლოდან ბინარაბი

მოსახლენი მანც მონდა უფას თასიდან გაგარდნილმა თბილისის „დინამომ“...

— თურქეთში თამაში იოლი სულაც არ იყო. ქვეყანაში საფეხბურთო ბუმი დამხვდა...

თურქეთის ჩემპიონატი ჯამარაულმა ბრინჯაოს მედლით და ხუთი გატანილი გოლით დატოვა...

რამეზე მეტყველებს: შვეიცარიის ჩემპიონატში ჯამარაულს საშუალოდ სეზონში 10 გოლი გაჰქონდა...

აარგი და ცალი ციარინი

შვეიცარიული „ციურიხის“ ვარიატი ქართველ ფეხბურთელს 1998 წლის მიწურულს გაუზნდა „ციურიხის“ ტოპით იტალიელმა თავკაცმა რაიმონდ პონტემ...

„ციურიხის“ ჯამარაულზე დღემდე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იქ გატარებული წლები მას ერთ-ერთ საუკეთესოდ მიანიჭა...

პირველ წარმატებას ჯამარაულმა „ციურიხში“ გადასვლიდან ერთ წელიწადში მიაღწია. 2000 წელს შვეიცარიის თასის ფინალში...

— თურქეთში თამაში იოლი სულაც არ იყო. ქვეყანაში საფეხბურთო ბუმი დამხვდა და მატჩებსაც უამრავი მყურებელი ესწრებოდა...

აღბათ გენიშნათ, ჯამარაულს არც შვეიცარიის უერძენია თავი უცხოელად...

რა ღროს პენსიაა სიამნს კიბანამ კარი და ხელფასი უმსთავაზა

დღეს „არსენალს“ დევოდ სიმინი გაუძღვება კარდიოს „მოდერნიზმე“ ინგლისის თასის ფინალი ბოლო მატჩი...

არ უნდა ამ კაცს ფეხბურთთან წასვლა და შეეცადეთ, რამდენიმე გინდათ. თავად ვენკერცი აღიარებს...

პოლა, მიხეხს ექებს. „ამ ასაკში ფეხბურთელს უფრო ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, ვიდრე ფიზიკური“...

მაგრამ კაცს მოედანზე გასვლის თინი ვერაც ვერ განსებია. პოლა, ეს თუ მის მშობლიურ „არსენალში“ ვერ გათვას...

და აი, პირველი წინადადება. არცთუ მოულოდნელი, თუ გასამრჯელოს არ ჩავთვლით...


ერთიც ვთქვით და კონფლიქტები ამით ამოვწურით — გოჩას ხშირად მოსვლია უთანხმოებები „ციურიხის“ თავკაც ფილბერ გრესსა და „ტრაბზონსფორის“ მწვრთნელ შენოლ გიუნემთან...

ბოლო ბარარაბა

2002 წლის ზაფხულში გოჩა საბოლოოდ გაეყარა „ციურიხს“. თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონეს წინადადებებიც მიუვია...

„მეტალურგთან“ ერთად ჯამარაული რაიმე ღირებული წარმატების მიღწევას გეგმავს...

„მეტალურგთან“ ერთად ჯამარაული რაიმე ღირებული წარმატების მიღწევას გეგმავს, თუმცა ყველაზე დიდი ოცნება სამწუხაროდ აუხლენელი დარჩა — მას საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურდა...



I ტაბლის შედეგი. Table with columns for date, time, category, and scores. Includes 17 and 18 მაისი sections.

რამდენი ბოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო). (2,5-სი ნაპოვნი - 2,5-სი მიწი). Table listing match numbers and scores.

ფორმულა 1. ავსტრია. 17 მაისი (23.45)

Table with 5 columns: 4001 გამარჯვებული, სანამუშაო, მძვინკველი, 4002 უსწრ. წრე, 4301 გამარჯვებული გუნდი. Lists various teams and their scores.

მათჩანს თუ არა ოთხმა გუნდი მატჩში ბოლს (ძირითადი დრო)

Table with columns for match numbers and scores under the heading 'მათჩანს თუ არა ოთხმა გუნდი მატჩში ბოლს'. Includes 17 and 18 მაისი.

საფეხბურთო მატჩების შედეგები და ანგარიშები

Table with columns for match numbers, dates, and scores. Includes 17 and 18 მაისი sections.

როგორ ტაბლში გავა მიწი ბოლი


Table with columns for match numbers, dates, and scores under the heading 'როგორ ტაბლში გავა მიწი ბოლი'. Includes 17 and 18 მაისი.

როგორ გუნდი გახდეს მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დასასრულს უპირობოა, ოთხმა ვსონი ზამთრულ რაიონშია)

Table with columns for match numbers, dates, and scores under the heading 'როგორ გუნდი გახდეს მატჩში ანგარიშს'. Includes 17 and 18 მაისი.

სამ თბილისურ გუნდში. ჟონსტანბინე გამსახურდიანს გამგირი № 3; ჰაჟა ფაჟავლას გამგირი №46. Includes contact information and address.

სხპირები დაბლა!



იტრემლებული კობი...

15 მაისი

დასავლეთი

სან ანტონიო 4:2 ლიუკერსი

ლიუკერსი 82:110 სან ანტონიო


ლიუკერსი: ფიშერი (6), ბრაიანტი (20), ჯორჯი (7), პორი (2), ონილი (31 ქულა, 10 მოხსნა); მედედენო (12), ბარტო (2), რაში (2), უოლკერი, შოუ, მადსენი
სან ანტონიო: პარკერი (27), ჯეკსონი (4), ბოუნი (8), დანკანი (37 ქულა, 16 მოხსნა), რობინსონი (7), ჯინობილი (10), როუზი (4), ვილსი (4), ფერი (4), სმიტი (3), კლასტონი (2), კერი

კობი ბრაიანტმა მოედანს სველი თვალებით დატოვა. „ვერ ვიტან ამ შეგრძობას. აღარ მინდა ცხოვრებაში ასეთი რამ კიდევ განიცადო“ — ლოს ანჯელეს ლიუკერსის 24 წლის ბედის ნებეირა ლიდერს გაუჭირდება ამ მარცხთან შეგუება.

მარცხი კი ისტორიულია 1999 წლის პლეი ოფში „სან ანტონიო სპურსთან“ მეორე წრეში დამარცხების შემდეგ „ლიუკერსს“ სერია არ წაუგო და აი, ეს დღეც დადგა. პლეი ოფიდან ზედიზედ 13 გუნდის გაგდების შემდეგ „ლიუკერსი“ თავად გააგდეს ბედის ირონიით, ჩემპიონებს იმ გუნდმა მოუგო, რომელთანაც 1999 წლის მარცხის შემდეგ ორჯერ, შარშან და შარშანწინ აეღო რევეანში.

ისიც აუცილებლად აღსანიშნავია, რომ „ლიუკერსი“ პირველად დამარცხდა საქ მარცხში, ცხა-

NBA PLAY OFF მეორე წრე ოთხ მოგებადღე



მანუ ჯინობილიმ „ლიუკერსს“ თავზე გადაუფრინა

და, სერიის წაგება იგულისხმება ფილ ჯეკსონის ხელში. ჯეკსონმა 1999-2000 წლების სეზონის დასაწყისში ჩაიბარა ვარსკვლავებით სავსე, მაგრამ გამარჯვების ვერძელოდნე „ლიუკერსი“ და ზედიზედ სამჯერ აჩემპიონა. ჯეკსონი მანამდე „ჩიკაგოს“ ექვსჯერ გაამხეპრონებელიცაა და ახლაც რომ დაეცვა ტიტული, სულ ათი ოქროს ბეჭედი დაუგროვებოდა და გადასწრებდა „ბოსტონ სელტიქსისთვის“ 9 გამარჯვების მომტან ლიუკერსს მწვერთხელს, რედ აუერბასს.

აი, ეს ყველა გეგმა ჩაფუშა „სან ანტონიო სპურსმა“, რომელმაც ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონი 15 მაისს მეოთხედ დაამარცხა და ისტორიაში ასეც ჩაეწერა.

„სპურსთან“ „ლიუკერსის“ ბოლო, 28-ქულიანი მარცხი, პრინციპში, ასახავს კიდევ ამ ორ გუნდს შორის სხვაობას. „ლიუკერსი“ აქამდე ყოველ თამაშში ბოლომდე იხარჯებოდა და ზოგჯერ რაღაცას აღწევდა, მაგრამ ეს გამარჯვებებით დაღლილი გუნდი ბოლოს და ბოლოს მოტყდა. პირველი გიგანტი ტაიმის მხოლოდ ოთხი ქულით (50:54) დათმობის შემდეგ, მასინძლებმა კვლავ გაუძღეს სტუმართა მასობრივ მტურს. „სან ანტონიოს“ ყმაწვილმა ფრანგმა გამთამამებელმა ტონი პარკერმა და მოუხელთებელმა არგენტინელმა მანუ ჯინობილიმ „ლიუკერსის“ დაბლეს თავებზე დაახვიეს. ამით მხარი გაუმაგრეს ვეტერანმა ზანგებმა — სტივ ჯექსონმა და ბრიუს ბოუენმა, ქულას ქულაზე იხვეჭდა ტიმ დანკანი და ბოლოს და ბოლოს,

დაყარა ფარ-ხმალი ჩემპიონთა დაცვამ. „ლიუკერსმა“ მესამე მეოთხედი ექვსი ქულით წააგო, მეოთხე — ერთბაშად 19-ით.

კობი ბრაიანტისთვის, შესაძლოა, ეს დღე ყველაზე ცუდი იყო ცხოვრებაში. მერიანო ვარსკვლავებიც მისაზე დანარცხეს, თანაც ლოს ანჯელესში, სადაც იქაურ მაღალცხვირიან საზოგადოებას არასდროს უნახავს ასე დათრუნული კობი, ეს ამაყი და ზოგჯერ თავზელი ყმაწვილი.

ბრაიანტმა მხოლოდ 20 ქულა ჩააგო, ყველაზე ნაკლები, „სან ანტონიოსთან“ სერიაში (წინა ხუთი მატჩიდან ოთხში 30-ზე მეტი მოეხვეჭა). მისმა ვეება დღესტამა შაკილ ონილმა, კობის საპირისპიროდ, სერიის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მაგრამ განა მარტო შაკია „ლიუკერსი“? მათ უმეტეს, მაშინ, როცა მეტოქე და მით უფრო მისი ლიდერი, ტიმ დანკანი შეუენერებელი იყო.

„სან ანტონიო სპურსი“ კი დასავლეთის ფინალში, პირველად 1999 წლის შემდეგ, სხვათა შორის, მაშინ „დეზები“ ჩემპიონები გახდნენ.

დაღასი 3:3 საპრაიმენტო

საპრაიმენტო 115:109 დაღასი

საპრაიმენტო: ბიბი (4), კრისტი (20), სტოიაკოვიჩი (24 ქულა, 10 მოხსნა), თურქოღლუ (7), დიფიცი (2); ზ. ჯეკსონი (21), ჯ. ჯეკსონი (16 ქულა, 12 მოხსნა), კლერი (2)
დაღასი: ნეში (15), ფინლი (21), ბელი (2), ნოვიცი (21 ქულა, 12 მოხსნა), ლაფრენცი (15 ქულა, 6 დაფარება); ვან ექსელი (35), უილიამსი, ბრედლი, ნახერა

ლიუკერსი ზიღან ფრანკონსა და არგენტინელის სუპრზე დაანარცხა



დათრუნული შაკი...

„დაღასმა“ ამჯერადაც სათუთლ გაიხადა საქმე და მეშვედე მატჩამდე გააჯანჯლა სერია ცხადა. ეს ნებით არ გაუკეთებია, მაგრამ კვლავ წააგო პრინციპული მატჩი და ერთხელაც იძულებით დაღასიტურა, რომ მართლა მთავრდებოდა ბეჭედი უკვლია გავისხვითო, რომ წინა სერიაში „დაღასი“ „პორტლენდს“ 30 უგებდა და მაშინ მტკიცეს ზღაზღად სამი გამარჯვება აჩუქა, რაიაც სერია მტკიცე მატჩამდე მიიყვანა და თავი ლაშის ქველში გაყო „დაღასს“ ახლა მტკიცე „პორტლენდს“ ძლიერ ჰყავს და სერიაზელად ეტყება ზედიზედ მესამედ გავარდნა პლეი ოფის მეორე წრედან ეს შერცხვნი იქნებოდა გუნდისთვის, რომლისაც იმდენი ვარსკვლავი ჰყავს რომ მოედანზე არ ეტყვა.

„დაღასის“ სათადარიგო გამთამამებელმა, ბუთხუზა ნაკ ექსელმა ეს მერამდნელ დაწყო, „საპრაიმენტო-კონგის“ დაცვა მაგრამ მისაჩუქრა ფსკერ გამოიხინეს და აი, შედეგიც — დამარცხდნენ. ამ ზედამსებულ თამაშში რამდენჯერმე შეიცვალა ლიდერი, გალადერებულაც ვერ ახერხებდა შესამწევად წინ გაჭრას, ამიტომ ანგარაშში სხვაობა 9 ქულას არ ასცილებია. „დაღასმა“ ყველაზე საჭირო დროს დაკარგა უპირატესობა „საპრაიმენტო“ ბოლო მეოთხედაში დაწინაურდა და ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა. სერიის გადამწყვეტ შეხვედრას „დაღასი“ შინ გამართავს, სადაც ის თავს არცთუ საძვიდო გრძნობს.

კობე უოტსონი



შვენიერი ფრანცისკა და მისი სვირინგებანი ბოიფრენდი შტეფანი კრეცშმარი

გულვარდიანი ჯვარი

ბანთიშვულმა გერმანელმა მოცურავე ფრანცისკა ვან ალმსიკმა ფეხზე ახალი სვირინგი — გულვარდიანი ჯვარი დაისვა.

ჩვენი გერმანელი კოლეგა მას ამ სვირინგის მნიშვნელობასა და კიდევ ახლო-მახლო რამერუმებზეც დაეკითხა. ამ რამერუმებიდან ჩვენ მხოლოდ ორივე კითხვა შევარჩიეთ.

ფრანცისკა: „ჯვარს ყოველთვის ვატარებდი, ან საყურის სახით, ანც ძეწკვით. ახლა კი სულაც სხეულზე მეჭება. ასე უფრო უნდა დამიცვას.“

— ეს უკვე თქვენი მესამე სვირინგია. თქვენი მეგობარი, შტეფანი კრეცშმარი ხომ არ გაგულიანებთ? მას, როგორც ვიცით, ტანზე კაი ოცი სვირინგი უნდა ჰქონდეს.

— შტეფანი არაფერ შუაშია. ეგაც არ იყოს,

მისი სხეული უსვირინგებოდაც მაკმაყოფილებს. — უკვე 12 წელია, წყაღში ხართ, რა აღარ მოგიგიათ. ხომ არ ფიქრობთ, რომ დროა, ჩაუჯდეთ და შტეფან ევენბერგის დარად ავტობიოტრაფია დაწეროთ?

— პო, ცუდი იდეა სულაც არ არის. სათქმელი და მოსაყოლი მართლაც ბევრი მაქვს. ოღონდ ამას ალბათ ოლიმპიადის მერე გააკეთებ... იმედი მაქვს, ჩემი წიგნით ბევრ დამწყებ სპორტსმენს დავეხმარები. მეორეცაა და მინდა, რაღაც-რაღაცებზე ხალხმა უფრო მეტი იცოდეს. ეფესავით გულახდილი ალბათ ვერ ვიქნები, მაგრამ სიმართლის თქმას არ მოვერიდები იქ, სადაც დარწმუნებული ვარ, რომ თქმა სჯობს არათქმასა.

ბარლო გომოლი



ვარდიანი ჯვარი ფრანცისკას ფეხზე



ფერნანდო გონსალესი: YES!

REUTERS გამომცემი



ლეიტონ პიუტი გამომცემიდან ჩოგანამოჭეხული მიღის

ჩოგბურთი ბრძელ ფენიქსი დანი ჰანტუხოვა ანა ხურნიოვას ემსგავსება

TELECOM ITALIA MASTERS

რომი, თიხნარი


საპრიზო 1,3 მილიონი დოლარი

მეორე წრე

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ნატალი დევი (საფრანგეთი) 6:3, 6:0; კიმ კლაინსტერსი (2, ბელგია) — კარა ბლუკი (ზიმბაბუე) 6:0, 6:3; ამელი მორანსი (4, საფრანგეთი) — ანა პისტოლეზი (16, ისრაელი) 6:0, 6:3; ჯენი-ფრი კაპრინი (5, აშშ) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 7:5, 6:3; კონიტი მარტინეტი (ესპანეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) 6:3, 6:3; ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 6:4, 7:5; ანი სუპინი (13, იაპონია) — პატი შნიდერი (17, შვეიცარია) 6:2, 6:1; ტინა პისნიკი (სლოვენია) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:1

ბობოლა გოგოვმა იმ დღეს კვლავ დამაჯერებლად და ვლადიმერ-ვლადიმერ ჩაიარეს. შარშანდღემა ჩემპიონმა სერენამ ფრანგი დევი შეძურს, კლაინსტერსმა — ზიმბაბუელი კარა ბლუკი, ამელი მორანსი კი — ისრაელი პისტოლეზი. მთავარხუთეულეთაგან საქმე მხოლოდ ჯენი კაპრინის გაუფანჯვლა, რაკილა პეტროვლა რუსგოვო ნადია პეტროვამ პირველ სეტში მას ფიცხელი კეჭნაობა გაუჩადა.

ისევ გაბითურდა სექსუალობა დანიელა ჰანტუხოვა, ვინაც ტურნირის ოთხჯერ ჩემპიონმა, 1994 წლის მეუბმდღონე კონიტი მარტინესმა მოთელა. ჰანტუხოვა წელს ძალზედ უნიათოდ ირჯება — 11 ტურნირზე ნათამაშები 24 მატჩიდან მხოლოდ ცამეტში იხვირა და რამის მოგებას ვინ ჩივის, ერთ ქეციან ფინალშიც ვერ გააღწია.



სერენა უილიამსი. უკომენტაროდ

REUTERS რომიდან

უსასხელ ოური

სასელიანი ფაზილა ყველა, დარჩა სასრაგის ხალხი

TENNIS MASTERS HAMBURG

ჰამბურგი, თიხნარი

საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

მეორე წრე

ფერნანდო გონსალესი (15, ჩილე) — ლეიტონ პიუტი (1, ავსტრალია) 6:1, 3:6, 6:0; მარკ ფინი-ლინსისი (ავსტრალია) — როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) 6:3, 2:6, 6:3; დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) — რაინერ შიულტერი (9, გერმანია) 7:6 (7:3), 6:2; უინი ფარეირა (სამხრეთ აფრიკა) — გუსტავო კურტენი (11, ბრაზილია) 7:6 (7:4), 6:4; მილანო კორიკა (12, არგენტინა) — მიხაილ იუჯნი (რუსეთი) 6:3, 6:3; აბუსტინ კალერი (არგენტინა) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:0; ბასტონ ბაუდიო (არგენტინა) — რაფელ ნადალი (ესპანეთი) 6:2, 6:2; ოლივიე რინსი (ბელგია) — ტიმ პენანტი (ბრიტანეთი) 6:4, 6:3

წინა ორ წრეში გაბურჯდა ქვესი საათის ბურთების შემდეგ ლეიტონ პიუტიმ მეტის გაჭყვა ვეღარ შეძლო.

ამჯობა იყო, 22 წლის ჩილეელი ფერნანდო გონსალესს, ვინაც წარმატებული შარშანდღე სუხონის ფონზე წლეულს ძალზედ უფერულად გამოი-

ყურება, სამი სეტადან მხოლოდ ერთში რომ ეიმა. პირველ და მეორე სეტებში კი მთლიანად გონსალესი დომინირებდა. ამჯობის უსტაბაში მან ბასრი დაბრუნებებითა და ბარაქიანი ხელწაღმებით აიკლო.

ხოლო გადამწყვეტ ხელში სულაც 6:0 გადაუარა.

ეს პიუტის 357-ე საკარიერო მატჩი გახლდათ და როგორც სტატისტიკა გვამცნობს, გეიმოუგებლად სეტი მან მხოლოდ მესამედ წააგო — აქამდე მას 0:6-იანი მარცხი 2000 წლის რომაულ მასტერსსაზედარფინალში მანუხს ნორმანსიგან, შარშანდღე პარიზულ მასტერსფინალში კი მარატ საფინისგან ეწვნია...

ასევე წაიფორსილა შარშანდღემა ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა. ზორბა აღპელს არანაკლებ ზორბა ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი მოერა.

კვლავ ჩაიფლავა სამჯზის მეროლანგაროსე გუსტავო კურტენმა. 26 წლის ბრაზილიელს მასზე ხუთი წლით უფროსი სამხრეთაფრიკელი უინი ფარეირა გაუსწორდა. ეს მათი მეშვიდე დაპირისპირება იყო და აფრიკელმა, რომელიც ტურნირზე უკვე მეთორმეტედ გამოდის, მეტო-

ქეს მეორე მარცხი აგემა.

პიუტის, ფედერერისა და კურტენის წაგებით მოსაკლისებული ხიბლი ტურნირის ლამის სულ მთლად გააცალა ადგილობრივთა ვილის, რაინერ შიულტერის ოტებამ. ავსტრალიის დია პირველობის წლევეანდელი ფინალისტი უიმბლდონის შარშანდღემა ფინალისტმა, დავიდ ნალბანდიანმა გაამისაქნა.

ნალბანდიანის გარდა მეოთხედფინალში კიდევ სამი არგენტინელი გავიდა — ვილერმო კორია, ვინაც რუსი იუჯნი მოთელა, თვისტომ საბალეტას მძლეველი ავუსტინ კალერი და გასტონ გაუდიო, რომელმაც წინა წრეში კარლოს მოიას დამაჯერებელი ვუნდერმუჩაჩო რაფელ ნადალი დააოკა.

სხვათრე — ბოლო-ბოლო, დამარცხდა ტიმ პენანტიც. ორი მატჩი ზედიზედ მას შარშან ოქტომბრის შემდეგ აღარ მოეგო და ჰამბურგიდან ნუგემად საპირველოწრეო წარმატებას მაინც გააყოლებს.

ნათიუ ბრიტს ჩია ბელგელი ოლივიე რინსისი მოერა. ეგებ გახსოვდეთ — წინა წრეში ის შარშანდღე მეროლანგაროსე ალბერტ კოსტასაც გასცდა.

მთვრალი სტუმარი სასელად პიტ

მიდის და არც მიდის



ჩანს — პიტ სამპრასი დიდი ჩოგბურთიდან წასვლას დაშურებულა. ყოველ შემთხვევაში, იმდღევანდელმა „ლოს ანჯელეს ტაიმსმა“ სწორედ ასე გვაუწყა — პიტის პიტი საფრანგეთის დია პირველობასა და უიმბლდონზე თამაშს უარობსო.

ეს ცნობა გაზეთმა თავად 14-ჯზის მესლემტიტულე ელინოამერიკელის სიტყვებითაც შეამერა:

„ისე არ გამოვით, თითქოს წასვლის საქმე უკვე გადაწყვეტილია — უთქვამს პიტს — მაგრამ მე კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს აქტიური ჩოგნაობა — ვარჯიში, მობილიზება, თავდადება — და კალაღად ვაღიარებ, სამამბებოდ არც თავი მაქვს და არც სურვილი.“

მოკლედ — წლევეანდელ როლან გაროსზე და უიმბლდონზე სამპრასი ნაღდად არ გამოვა!

არადა, მილეითი ეკვობდა, რომ თუკი 31 წლის უდიადესი მეჩოგნე კორტზე მობრუნებას ისურვებდა, ეგ ან როლან გაროსი უნდა ყოფილიყო, სადაც მას ერთხელაც ვერ უმარჯვია, ანაც — უიმბლდონი, რომლის ზურმუხტოვნებაც მას საჩემპიონოდ შეიღვზის გაუჯგავს.

პიტმა ერთიც იუარა და მეორეც მამ სად და როდის დაბრუნდება იგი, ან კი დაბრუნდება ოდესმე?

ეგ ყველაფერი ალბათ კოდელ ნინას თუ ეცოდინება... ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ჩოგანი პიტს აშშ-ის შარშანდღე დია პირველობის შემდეგ აღარ გაუქნევია, თავისი მე-14 სლემტიტულის მოხვეჭის შემდეგ.

ხოლო სულ მას 64 ტიტული მოუნგარავს, 222 მატჩში დამარცხებულა, 762-ში უმარჯვია და პირად ანგარიშზეც ჩოგნის ქნევით ნაშობენი 43,2 მილიონი დოლარი უხის.

ლემან კელაშრაკი

ახალი რსუბები

ეს ნამდვილი რესლინგი არ გეგონოთ, ვიდეთამაშის სარეკლამო კლიბის გადაღებაა. მორიგი ვიდეთამაში ქუჩის მოჩუბართა იღუთებზეა აგებული და უახლოესი ტექნოლოგიით მოიტაცებს მოთამაშეთა თვალს.

REUTERS ლოს ანჯელესიდან



REUTERS ბუდაპეშტიდან

პირველი

ამ უქმეებზე ავსტრიის საფორმულე დიდი პრიზი გათამაშდება. უკვე ყველანი იქ არიან, „ჯორდანის“ თავაკცმა უდი ჯორდანმა კი ბუდაპეშტიც მოასწრო შევლა 22 წლის უნგრელ ტესტპილოტ უოლტ ბაუმგარტნერთან ერთად. უოლტი ისტორიაში პირველი უნგრელია, ფორმულაში რომ ჩაბმულა.

გლახური სპორტი

ეს შვეიცარიელთა გლახური სპორტია და სხვანაირად „დედოფალთა ბრძოლა“ ჰქვია. ერთმანეთს ძროხები ერჩოლებიან ხუთ წონით კატეგორიაში. ასეთი შეჯიბრი ყოველ გაზაფხულზე ტარდება, საქონლის ზაფხულის საძოვრებზე არეკვის წინ. გამარჯვებულთა პატრონ მეჯოგეს ეამაყება, რომ კარგად გამოუზამთრებია თავისი ძროხა. ფინალის ადგილი ამჯერად სოფელი აპროზი ვახლავთ.


REUTERS აპროზიდან



ფანი კაიდი

ეს ვახლავთ წლეგანდელი „ეკნტაჟი დერბის“ მომგები „ფანი კაიდი“. ვაცინებული ბიჭი კი ჩემპიონი ცხენის მომვლელი საკარიას ვინტანა. „ფანი კაიდი“ ხეალ ვიდევ ერთ დიდ რბოლაში, „პიმლიკო რეისში“ ჩაერთვება, ბალტიმორში რომ ტარდება.

REUTERS ელმონტრიდან



REUTERS სან პაულუდან

ღობის აქატი

აი, რა ამბავია სან პაულუში, „მორუმბის“ სტადიონზე. პოლიცია ცდილობს, რომ ცხაურზე აფოფხებული „კორინტიანის“ გულშემატკივარი დააკავოს, ამ გულშემატკივარს კი ღობის იქით არგენტინული „რივერ პლეიტის“ ერთგული ხალხი ელოდება. ერთ-ერთ პოლიციელს რეინისმეგნეტი ხელსაწყო უჭირავს და ღობეს კვეთს. რატომ, არ ვიცით, ის კი ვიცით, რომ ლიბერტადორესის თასის თამაშია.

სარბიელი
საორტული გაზაფთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამზაბათს,
ოთხზაბათს, ხუთზაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შონიძე
ლიტერატორი ბიორგი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე
კობა ინასა-რიძე, მამუკა კვანტლიანი, პაატა კვანტლიანი, კახა შალაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი დარჯანიანი, ვიქტორ ვაიაკიძე, კეკე ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, აკოპიანი გურასაშვილი,
ლევან კვლავაძე, ირაკლი პერტაია, ბაიო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში: ვანო ოქროშაძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დიდუგვაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გონალოშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ
კოცკაშვილი, ირინა ვოლოდაშვილი, რუსუდან დარსაგულიძე, სვეტა
დეცაძე, ფატი დვალისაშვილი, მაგდა დვალისაშვილი, მარია ტაბიძე, თენ-
გიზ ფიფხაძე, მაღალა ჭუმბურიძე

გამომცემის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგის გამზირი 42, 11
პორაუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი – 79, საზოგადოებრივი
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbili.com.ge>